



გორის მუნიციპალიტეტის მერი



ბრძანება:ბ20.202224419

თარიღი:01/09/2022

გორის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებით დამტკიცებული მე-4-ე დანართის მე-4-ე პუნქტის საფუძველზე **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა დანართი 1-ის შესაბამისად.
2. დაევალოს გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნები, აღწერა, შუალედური და საბოლოო შედეგები, შეფასების ინდიკატორები გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას.
3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს ხელისმოწერისთანავე.
4. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქალაქი გორი, ს. ჯორბენაძის ქ.№30.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

